სუბიექტის ფორმირება ჰეგელის მეცნიერებათა ლოგიკაში და მისი ისტორიული რეალიზაცია

იმედი მამალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრატური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე,
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იმედი მამალძე

05.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს სუბიექტის ფორმირების პრობლემას ჰეგელის ლოგიკაში და მისი ისტორიული რეალიზაციის საკითხს ფრანგული ჰეგელიანიზმის კონტექსტში. კვლევის მთავარი მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ ფორმირდება სუბიექტი ჰეგელის „მეცნიერებათა ლოგიკის“ სისტემაში და როგორ იძენს იგი ისტორიულ განზომილებას შემდგომ ინტერპრეტაციებში. ნაშრომი ეყრდნობა როგორც ჰეგელის ასევე ჟან იპოლიტის, ალექსანდრ კოჟევისა და ჯუდით ბატლერის ტექსტების ანალიზს. კვლევის პირველ ნაწილში განხილულია ჟან იპოლიტის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ჰეგელის ლოგიკაში სუბიექტი ფორმირდება ნეგატიურობისა და გაშუალების გავლით. იპოლიტის ანალიზი აჩვენებს, რომ სუბიექტი არ წარმოადგენს დასრულებულ და საკუთარ თავთან იდენტურ სუბსტანციას; იგი არის მუდმივი მოძრაობა, რომელიც საკუთარ თავს განსხვავებისა და თვითრეფლექსიის გზით აყალიბებს. ნაშრომის მეორე ნაწილში განხიულულია ალექსანდრ კოჟევის ინტერპრეტაცია, სადაც ლოგიკური სუბიექტი ისტორიულ რეალიზაციას აღწევს. კოჟევთან სუბიექტი ვლინდება სურვილის, აღიარებისათვის ბრძოლისა და მისი ისტორიული პლასტის ფორმით. ნაშრომის დასკვნით ნაწილში განხილულია ჯუდიტ ბატლერის მიერ ჟაკ ლაკანის სუბიექტის ინტერპრეტაცია. კვლევა აჩვენებს, რომ ბატლერი ლაკანის სუბიექტს კითხულობს როგორც ჰეგელის დიალექტიკური სუბიექტის ტრანსფორმაციას სურვილისა და ენის სტრუქტურაში. ამასთან, ლაკანის სუბიექტურობაში ვლინდება იპოლიტისა და კოჟევის ინტერპრეტაციებს შორის არსებული სტრუქტურული კავშირი: იპოლიტის ნეგატიურობა და გაშუალება ერთიანდება კოჟევის სურვილისა და აღიარების დიალექტიკასთან. კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ჰეგელის სუბიექტი უნდა გავიგოთ არა როგორც დასრულებული იდენტობა, არამედ როგორც მუდმივი მოძრაობა, რომელიც ლოგიკაში ფორმირდება, ისტორიაში რეალიზდება და თანამედროვე ფილოსოფიაში ენისა და სურვილის სტრუქტურაში აგრძელებს არსებობას.

საკვანძო სიტყვები: ჰეგელი, სუბიექტი, დიალექტიკა, ნეგატიურობა, გაშუალება, ჟან იპოლიტი, ალექსანდრ კოჟევი, ჟაკ ლაკანი, ჯუდით ბატლერი, სურვილი, ისტორია.

Abstract

This thesis investigates the problem of subject formation in Hegel's Science of Logic and the question of its historical realization within the context of French Hegelianism. The main aim of the study is to demonstrate how the subject is constituted within the system of Hegel's Science of Logic and how it acquires a historical dimension in subsequent interpretations. The thesis is based on an analysis of the works of Hegel, as well as those of Jean Hyppolite, Alexandre Kojève, and Judith Butler. The first part of the study examines Jean Hyppolite's interpretation, according to which the subject in Hegel's logic is constituted through negativity and mediation. Hyppolite's analysis shows that the subject is not a completed substance identical with itself; rather, it is a continuous movement that constitutes itself through difference and self-reflection. The second part discusses Alexandre Kojève's interpretation, in which the logical subject attains historical realization. For Kojève, the subject manifests itself through desire, the struggle for recognition, and its historical development. In the concluding part, the thesis examines Judith Butler's interpretation of Lacanian subjectivity. The study demonstrates that Butler reads the Lacanian subject as a transformation of the Hegelian dialectical subject within the structures of desire and language. Furthermore, Lacanian subjectivity reveals a structural connection between the interpretations of Hyppolite and Kojève: Hyppolite's concepts of negativity and mediation are integrated with Kojève's dialectic of desire and recognition. The study concludes that Hegel's subject should be understood not as a completed identity but as a process of continuous movement that is constituted in logic, realized in history, and continues to exist in contemporary philosophy through the structures of language and desire.

Keywords: Hegel, subject, dialectic, negativity, mediation, Jean Hyppolite, Alexandre Kojève, Jacques Lacan, Judith Butler, desire, history.